

 <p>შ.პ.ს. ეტალონი Etalon LTD</p>	<p align="center">შპს "ეტალონი"</p> <p align="center">პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანო</p> <p align="center">0178, თბილისი, ჩარგლის ქ. № 73, ტელ/ფაქსი (995 32) 261 35 39, www.etaloni.net</p>
<p align="center">ხარისხის სახელმძღვანელო</p>	<p align="center">ხს_სო– 20790441- 3.2- 2021</p>
<p align="center">პროდუქტის სერტიფიკაციის ჩატარების პროცედურა</p>	<p align="center">ვერსია: 03 გვერდი 1 / 3</p>

პროდუქტის სერტიფიკაციის ჩატარების პროცედურა

1. სერტიფიკაციის ორგანოს მიერ შემუშავებული პროცედურის ძირითადი ამოცანაა, სერტიფიკაციის ჩატარების დროს დადასტურდეს განცხადებული პროდუქტის ხარისხის მაჩვენებლების შესაბამისობა ნორმატიულ დოკუმენტებთან აკრედიტაციის სფეროს შესაბამისად.

2. შეფასებისათვის მომზადება

სერტიფიცირებისათვის განმცხადებელი, სერტიფიკაციის ორგანოსთან შეთანხმებით, ირჩევს ნორმატიულ დოკუმენტს და სერტიფიკაციის სქემას.

2.1. პროდუქტის შესაბამისობის სერტიფიკაციის დროს გამოიყენება სერტიფიკაციის სქემები შემუშავებული სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სსტ 5.020:2008 და ისო/იეკ 17067-2008-ს მიხედვით.

სერტიფიკაციის ორგანო ძირითადად იყენებს **მესამე სქემას** პროდუქტის სერიულ წარმოებაზე და **მეშვიდე სქემას** პროდუქტის პარტიაზე.

2.2 მესამე სქემა მოიცავს წარმოების მდგომარეობის შეფასებას, ნიმუშის აღებას და გამოცდის ჩატარებას. იგი გამოიყენება სერიული წარმოების პროდუქტისთვის. პროდუქტის სერიული წარმოების დროს (მესამე სქემით), სერტიფიკაციის ორგანოს წარმომადგენლის მიერ ტარდება წარმოების მდგომარეობის ანალიზი, რომლის შედეგებზეც დგება შესაბამისი აქტი.

2.3. **მეშვიდე სქემა** ითვალისწინებს განმცხადებელთან აღებული ნიმუშის გამოცდას.

პროდუქტის ნებაყოფლობით სერტიფიკაციასთან და ზედამხედველობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ანაზღაურებს განმცხადებელი.

2.4. პროდუქტის სერტიფიკაციის პროცესი მოიცავს:

- სერტიფიკაციაზე განაცხადის და მასზე დართული დოკუმენტების წარდგენას სერტიფიკაციის ორგანოში;
 - განაცხადის განხილვა სრულყოფილებაზე
 - განაცხადზე გადაწყვეტილების მიღებას და განმცხადებელთან ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის ჩატარებაზე ხელშეკრულების გაფორმებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის, სერტიფიკაციის სქემის და აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიის შერჩევას, ანაზღაურების პირობებს;
 - შეფასების ჩატარების პროგრამის შედგენას (დანართი თან ერთვის);
 - პროდუქციის იდენტიფიკაციას და პროდუქციის ნიმუშების აღებას (დანართი თან ერთვის);
 - პროდუქციის ნიმუშების ლაბორატორიაში გადაცემას ხელშეკრულების საფუძველზე;
 - მიღებული შედეგების ანალიზს და შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობაზე გადაწყვეტილების მიღებას (დანართი თან ერთვის);;
 - შესაბამისობის სერტიფიკატის რეგისტრაციას და გაცემას;
- პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიცირების ყველა პროცედურა ფორმდება დოკუმენტალურად.

2.5 სავაჭრო ქსელში ნიმუშის აღების პროცესის დროს ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის პარტიის იდენტიფიკაციის საკითხს გოსტ 23268.0-91 პ.1.1 მიხედვით. (პროდუქციის დასახელება, დამამზადებელი, დამზადების თარიღი, სერტიფიცირებაზე წარმოდგენილი პროდუქციის პარტიის რაოდენობა, თანმხლები დოკუმენტაცია, შეფუთვის ტიპი და მოცულობა).

2.6 სავაჭრო ქსელში აღებული ნიმუშის რაოდენობა განისაზღვრება ხარისხის სახელმძღვანელოს № ხს-სო- 20790441- პ.3 – 2017 პროცედურის მიხედვით.

სერიული წარმოების სერტიფიცირების ჩატარების პროგრამა

1. წარმოების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა
 - მწარმოებლის განაცხადის საფუძველზე შედგენილი აუდიტის ჯგუფის გაცნობა;
 - პროცესის სწორად შესრულებაზე პასუხისმგებელია ორგანოს მიერ დანიშნული ექსპერტი;

- სერიულ წარმოებაზე შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემაზე.
 - აუდიტის პროგრამისა და კონფედენციალობის შეთანხმება;
 - განმცხადებლისათვის წარმოების მდგომარეობის კითხვარის შინაარსის გაცნობა;
 - განმცხადებლის შესახებ ზოგადი ინფორმაციის გაცნობა (ფუნქციონირების პერიოდი, საქმიანობის საგანი, ფინანსური მდგომარეობა და სხვ.)
 - წარმოების ხელმძღვანელობის მიერ აუდიტის ჩასატარებლად ორგანიზაციის წარმომადგენლების გამოყოფა.
2. პროგრამის შესაბამისად წარმოების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება;
 3. დოკუმენტების და ჩანაწერების კონტროლი;
 4. წარმოების მდგომარეობის ანალიზის აქტის გაფორმება;
 5. სასერტიფიკაციო ნიმუშების აღება (პროდუქტის იდენტიფიცირება, დალუქვა);
 6. აქტის გაფორმება;
 7. აღებული ნიმუშების ლაბორატორიაში გადაცემა;
 8. სერტიფიკაციის ორგანო წარმოების მდგომარეობის შეფასების შედეგების და ანალიზის ჩატარების საფუძველზე გამოცდების შედეგების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას პროდუქციის